თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 5

21. 03. 2019 წ.

ქ.თელავი

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.**

აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები ალექსანდრე შათირიშვილი, ვასილ არაბული, გიორგი ჩაბრაშვილი, გურამი წულუკიძე, ლევანი ლილუაშვილი, ლელა მენთეშაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი თავბერიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ

მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: ნანა ხვისტანმა აღნიშნა რომ ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური გეგმის დამტკიცება, მუნიციპალიტეტის გეგმაზომიერი განვითარებისა და წინსვლისთვის.

მედეა ჩაფურიშვილმა აღნიშნა რომ გეგმა შეიცავს ტექნიკური სახის ხარვეზებს, რაც უნდა გამოსწორდეს.

გადაწყვიტეს: აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ, წარმოდგენილი დოკუმენტი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად და დასამტკიცებლად წარედგინოს ბიუროს.

კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი